№ 12 იანვარი 19, სამშაბათი 1888 იანვარი 19, სამშაბათი № 12

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

### ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ), გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (ასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

**ქუთაისში**: ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში**: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში**: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

### ქართული თეატრი

ბენეფისი ბ-ნ ვას. აბაშიძისა

დღეს, 19 იანვარს

«ქართულ დრამატიულ საზოგადოების» დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ორ ცეცხლ-შუა**

დრამა 3 მოქმედებად ქირარდენისა, თარგმ. ი. მაჩაბლისა.

**რაინდი**

**უშიშარი და გულ-მართალი**

ოპერეტა 2 მოქმედებად, მუსიკა ლეკოკისა.

მოთამაშენნი. ქქ. ავალოვისა, საფაროვ-აბაშიძისა, ლეონიძისა, თამაროვისა; ბბ. აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, მაქსიმიძე და სხვ.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

---

ბ-ნნი წევრნი კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებისანი მიწვეულ არიან მორიგს კრებაზედ, რომელიც დანიშნულია დღეს, 19-ს იანვარს, საღამოს 7½ საათზედ.

განსახილველი საგნები:

1) მიმდინარენი საქმენი;

2) მოხსენება მიწების იჯარით აღების თაობაზედ სახელმწიფო გლეხთაგან ამიერ-კავკასიაში.

---

ტფილისი, 18 იანვარი

კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტმა შარშან ერთი კარგი სამეცნიერო განძი შესძინა კავკასიას საერთოდ და ჩვენს ქვეყანას საკუთრივ. მან განიზრახა ყოველი სასტატისტიკო ცნობანი ამოეკრიბნა ეგრედ წოდებულ «საოჯახო სიებიდამ», რომელნიც შედგენილ იქმნენ იმისათვის, რომ უტყუარი ანგარიში ჰქონოდა მთავრობას მკვიდრთა რიცხვისა სამხედრო ბეგარისათვის მოსაწოდებლად და ამასთანავე იმის საცნობლად თუ,—რამდენი ოჯახია იმისთანა, რომელსაც უნდა გაეწეროს საკომლო გარდასახადი.

კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტმა მიანდო ბ-ნს ზეიდლიცსა, როგორც მთავარს რედაქტორს, ამოკრება ამ სასტატისტიკო ცნობებისა, მათი განხილვა და შემუშავება და მერე დაბეჭდვა იმის-და მიხედვით რამოდენადაც ეს საინტერესო მასალა მეცნიერებისა მზად იქნება დაბეჭდვისათვის. ამასვე ბ-ნს ზეიდლიცს დაავალა კომიტეტმა სამეცნიერო თვალით განიხილოს ყოველისფერი და სამეცნიეროდ შეიმუშავოს.

დღეს აქამომდე ბ-ნმა ზეიდლიცმა დაჰბეჭდა ოთხი რვეული. პირველი რვეული, რომელიც იპყრობს 115 გვერდსა, ზაქათალის ოლქას ეკუთვნის, მეორე—ახალქალაქის მაზრას, მესამე—შავი-ზღვის ოლქას, (Черноморскій Округъ) და მეოთხე—დაღესტნის ოლქას დაღისტანში. სიღნაღის მაზრის ცნობანიც მზად არის ხოლო ჯერ იბეჭდება და არ გამოსულა სტამბიდამ.

ჩვენ ეს ოთხი რვეული დღეს მოგვივიდა და მარტო მოვასწარით ხელ-და-ხელ გადათვალიერება. რვეულები რიგიანად და ლამაზად არის დაბეჭდილი და სავსეა საინტერესო ცნობებით, რომელნიც საკმაო ცოდნით თავ-თავის ადგილას რიგზეა დალაგებული. ჩვენ დღეს მარტო ერთს ფრიად საყურადღებო საგანს შევნიშნავთ და ამ საგანზედ გავუწევთ საუბარს ჩვენს მკითხველებს. ეს საგანი მით არის შესანიშნავი, რომ იმისთანა ცნობას გვაძლევს, რომელიც პირდაპირ ეპირისპირება და არ ეთანხმება სასტატისტიკო მეცნიერების საზოგადო დასკვნასა.

სასტატისტიკო მეცნიერებას გამორკვეული აქვს, რომ თითქმის ყველგან ევროპაში დედაკაცთა რიცხვი სჭარბობს მამაკაცთა რიცხვსა. მართალია, მეცნიერება ამასთან იმასაც ამბობს, რომ ეს მეტ-ნაკლებობა ზოგჯერ ჰმატულობს, ზოგჯერ ჰკლებულობს, მაგრამ არასოდეს ისე არ იცვლება, რომ მამაკაცთა რიცხვმა გადააჭარბოს. ეს ამბავი მით უფრო შესანიშნავია, რომ დაბადებით მამაკაცთა რიცხვი ყოველთვის მეტია დედაკაცთა რიცხვზედ და მაშასადამე მამაკაცნი უნდა რიცხვით აღემატებოდნენ დედაკაცთა. საქმით-კი ესე არ გამოდის. მეცნიერებას გამოცნობილი აქვს, რომ ხუთმეტის წლის ასაკამდე ამ ორისავე სქესის რიცხვი თანასწორია და ამ ასაკს შემდეგ-კი მთელს დანარჩენს ასაკობაში დედათა რიცხვი მეტია.

ყველგან და ყოველთვისაო, ამბობს, მეცნიერება, ვაჟი უფრო ბევრი იბადება, ვიდრე ქალიო, მაგრამ ესეც-კი შენიშნულია, რომ ყრმობაშივე სიკვდილითაც ვაჟი მეტი იხოცება, ვიდრე ქალიო. ეს არის მიზეზი, რომელიც ჰმოქმედობს ამ ორის სქესთა მეტ-ნაკლებობაზედ, ჯერ როცა ასაკ-სრული არ არის არც ვაჟი და არც ქალი. როცა ასაკი ემატებათ და სისრულეში შედიან, მამაკაცთა ცხოვრება უფრო ბევრს სხვერპლს იწირავს, რადგანაც ცხოვრებას მამაკაცისას უფრო ბევრი ფათერაკი და განსაცდელი სდევსო, მაგალითებრ, ომები, მოგზაურობა, ზღვაში მიმავლობა, მძიმე მუშაობა მადნების ხაროებსა და თხრილებში და სხვანი ამისთანანი.

ეს ფათერაკიანი და განსაცდელიანი ცხოვრება მამაკაცისა მოჰყვანდათ ძველს მეცნიერებს იმის მიზეზად, რომ დედაკაცთა რიცხვი ყველგან მეტია მამაკაცთა რიცხვზედ. ხოლო ამ უკანასკნელ ხანებში მეცნიერებამ ეჭვი შეიტანა და ამბობს, რომ ამ მეტ-ნაკლებობის მიზეზი სულ სხვა უნდა იყოს და მაინც და მაინც ეს მიზეზები უფრო ღრმად მიმალულნი და შორს არიან იმათზედ, რაც აქამომდე ეგონათო. ამ სახით დედაკაცთა მამაკაცზედ ნამეტანობა თუმცა მეცნიერებისაგან ცნობილია და დამტკიცებული, მაგრამ ამისი მიზეზი-კი ჯერ აქამომდე გამორკვეული და ნაპოვნი არ არის და ელის მეცნიერების საბუთიანს სიტყვას.

ამ საზოგადო მოვლენას არ ექვემდებარება ევროპაში მხოლოდ ბელგია, იტალია, საბერძნეთი, სერბია და რუმინია და იქნება ოსმალეთიცა. ამ ქვეყნებში ას მამაკაცზედ სულ ცოტა რომ ვსთქვათ 93¹/₁₀ დედაკაცი მოდის, სულ ბევრი—99⁴/₅. რა თქმა უნდა, რომ ევროპის სხვა დიდ ქვეყნებშიაც არის იმისთანა ცალკე ადგილები, საცა მამაკაცნი რიცხვით სჭარბობენ დედაკაცთა, მაგრამ თვითვეული ესეთი ქვეყანა, ერთად აღებული, მაინც დედაკაცთა ნამეტანობას წარმოადგენს. მეცნიერებამ ჯერ ზედ-მიწევნით არ იცის, რა მიზეზია დედაკაცთა ნამეტანობისა, საყოველთაოდ შენიშნულისა, და რა მიზეზია მამაკაცთა ნამეტანობისა, განსაკუთრებით ზოგიერთგან ცალკედ აღმოჩენილისა, თუმცა ზოგიერთს მიზეზს-კი გვისახელებს მგონიაობით.

ერთის სიტყვით, მეცნიერებას უეჭველ ჭეშმარიტებად მიღებული აქვს, რომ რიცხვი დედათა სქესისა თითქმის ყოველგან მეტია მამაკაცთა რიცხვზედ და ორთა-შუა რიცხვი მეტობისა ისეა, რომ 21-ს დედაკაცზედ მოდის 20-ი მამაკაცი.

ჩვენში სულ სხვა აღმოჩენილა. ზაქათალის ოლქაში, ახალ-ქალაქის მაზრაში და შავის ზღვის ოლქაში (Черноморскій Округъ) ყველგან დედაკაცთა რიცხვი ნაკლებია მამაკაცთა რიცხვზედ, ხოლო დაღლოს ოლქაში-ღა სჭარბობს. ზაქათალის ოლქაში 53²/₃ მამა-

---

## ფელეტონი

### ოთარაანთ ქვრივი

### XVII*)

ზარი

არჩილმა თავის ოთახში აატანინა გიორგი და თავის ლოგინზედ დააწვენინა. მაშინვე კაცი აფრინა მკურნალის მოსაყვანად მახლობელ ქალაქიდამ. ორი-სამი კაცი კიდევ სხვა გაჰგზავნა სხვა-და-სხვა სოფლებში, რომ შინაური ჯარა-ექიმებიც მოეწვიათ, ვინც-კ გამოჩენილი იყო და შინა-კაცებმა დაუსახელეს.

თვითონ იმავ სოფელშიაც იყო ერთი სახელ-გათქმული ჯარა-ექიმი—ოფოფაანთ დემეტრე. ისიც დაიბარეს და ნახევარ საათსაც არ გაუვლია, დემეტრე ჩამოვიდა.

გასინჯა დემეტრემ გიორგი. კარგა ხანსა სინჯა, კარგა ხანს იქნია თავი და ბოლოს უთხრა არჩილს:

— არა, ბატონო!.. მე მაგას ხელს ვერ მოვკიდებ. ეგ ამ ქვეყნისა აღარ არის. მაგისი წერა ეგა ყოფილა...

— ერთი სცადე... თუ ღმერთი გწამს, ხელი დაადე... რაც გინდა მთხოვე და მაგის ცოდოს-კი ნუ დაატრიალებ ჩემს სახლში, ჩემს თავზედ!..

ეხვეწებოდა, ევედრებოდა არჩილი, რომელიც იმ უბედურის წამიდგან აღარ მოჰშორებია გიორგის: გიორგის ლოგინთან დაჩოქილიყო, მომაკვდავის ცივი ხელი თავის ხელის გულზედ დაედო და თვითონაც არ იცოდა, რისთვის უზელავდა ხელით ხელსა.

— ტყუილი წვალება-ღა იქნება უბედურისა. სჯობია უწვალებლად მიაბაროს სული, მიუგო დემეტრემ: ამაღამ,—დიდი საქმეა—თუ გაატანა: შიგანური სულ შენგრეული აქვს.

— მერე ცოდო არ არის ამისთანა ბიჭი მოკვდეს!.. წამოიძახა გულამოჯდომით არჩილმა და თავი ჩაჰკიდა დიდის მწუხარებით.

— ჰაი, ჰაი რომ ცოდოა!.. დაიღმუილა ვილაცამ ტირილის ხმით.

ყველამ იქით მიიხედა, საიდამაც ეს ხმა მოვიდა და ბნელს კუთხეში არჩილის მეწისქვილე-კი დაინახეს. ამ ბერი-კაცს შეეტყო ეს ამბავი, მოვარდნილიყო, შეპარულიყო ოთახში, საცა გიორგი ესვენა, და ბნელ კუთხეში მობუზული ქვითქვითებდა ჩუმად, თითქო ეშინიან არავინ გამიგოსო...

— არ გებრალები, ჩემო სოსიავ, რომ ასეთი ცოდვა დასტრიალდა ჩვენს ოჯახში!.. შესჩივლა არჩილმა მეწისქვილეს, რაკი ნაღველის მოზიარე იგულვა, თითქო ამით ნაღვლის განქარვებას ჰლამისო.

— ოღონდაც, ბატონო, ოღონდაც!.. წაიქვითინა ეხლა-კი ხმა მაღლა მეწისქვილემ, რაკი გული ველარ შეიმაგრა: ვაი მაგის დედის ბრალი, ვაი!..

მარტო ეხლა მეწისქვილის ხსენებამ მოაგონა არჩილს ოთარაანთ ქვრივი. ამ ვაი-ვაგლახში აღარავის მოჰგონებია, შვილის ამბავი დედისათვისაც შეეტყობინებინათ.

ოთარაანთ ქვრივმა ჯერ არა იცოდა-რა...

არჩილი მეტად შესწუხდა. არ იცოდა, რა გზით და როგორ გაემჟღავნებინა დედისათვის. ამის ფიქრსა და წუხილში იყო რომ გიჟსავით გაფეთებული შემოვარდა კესო, უკვე მოსურიელებული. კესოს ცოცხალის ფერი არ ედო.

— როგორ არის, არჩილ, როგორ? ჰკითხა აჩქარებით ძმასა და მაშინვე გიორგის ლოგინთან მიიჭრა.

— შენი მტერიმც ნუ ყოფილა ასე!.. ძლივ-ძლივ წაიდუდუნა ძმამ.

კესომ დაჰხედა გიორგის. გიორგი გვერდზედ დაეწვინათ, ასე რომ პირისახე კესოსაკენა ჰქონდა. კესომ ჰნახა, რომ ეს ბრგე ყმაწვილი-კაცი ძლივს-ღა ჰფეთქავს... კესოს მტკივნეულად შეეკეცა შუბლი... მიიფარა ორივე ხელი ორსავ თვალზედ და, თითქო მოგუბებული ცრემლი უკუვ უნდა აქციოსო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჰმუჰვნა და სრესა დაუწყო თვალებსა ხელებ ჩამოუღებლივ.

— კესო, ნუ შევატყობინებთ დედასა? ჰკითხა ძმამ.

— როგორ თუ ნუ?.. შვილი მოვუკალით და არც-კი ვატყობინებთ,—რომ სულთ-მობრძავს მაინც მოუსწროს, სული დედის კალთაში მაინც დაჰლიოს... მოსთქვამდა ქვითინით კესო.

— მე აღარა მესმის-რა, უთხრა ძმამ: ამ საცოდავობამ გამაშტერა, აღარც ჭკუა მერჩის, აღარც ხელ-ფეხი!.. დაბნეული ვარ.

გაჰგზავნეს დედასთან ბიჭი. მალე მოვიდა ოთარაანთ ქვრივი. თუმცა ფეხ-აჩქარებით, მაგრამ ისე გულდინჯად შევიდა გიორგის ოთახში, თითქო შენათვალი არაფრად შეუმჩნევია და აინუნშიაც არა მოსდისრაო. მარტო სახე თითქო უფრო ჩამოსჭკნოდა, წარბებ შუა შუბლი ორსამ კეცად ჩაჰნაოჭებოდა და ზაფრანის ფერი ედო.

იმასთან გაგზავნილი ბიჭი-კი გოგო-ბიჭებში ჰლაპარაკობდა, რომ შენათვალი ვუთხარი თუ არა, ის ვეება დედაკაცი კინაღამ თავზე არ წამომექცაო.

*) „ივერია“ №№ 2, 3, 4, 7, 8 და 11.

კაცზედ მოდის $46\,^1/_3$ დედაკაცი. ახალქალაქისაში — $52\,^1/_2$ მამაკაცზედ მოდის $47\,^1/_2$ დედაკაცი, შავისზღვისაში — $54\,^2/_3$-ზედ $45\,^1/_3$-ი, ხოლო დარლოსაში — $49\,^3/_4$ მამაკაზედ მოდის $50\,^1/_4$-ი დედაკაცი.

მეტად ღირს-შესანიშნავი საგანია ეს ამბავი მეცნიერების მკვლევარისათვის როგორც ზოგადიდამ გამორჩეული და გამოსათვლელი, რასაკვირველია, ჯერ მინამ კავკასიის თაობაზედ საერთოდ და ამიერ-კავკასიისაზედ საკუთრად სრული ცნობანი არ დაიბეჭდება, ადრეა რაიმე გადაწყვეტილი ითქვას ამ საგანზედ. ხოლო თუ დანარჩენ ადგილებშიაც ასეთი ჭარბობა აღმოჩნდება მამათა სქესისა დედათა სქესზედ—ეს ამბავი მეტის-მეტად ჩაათიქრებს მეცნიერებს და ამის მიზეზის პოვნა და ახსნა ბევრს გაუძლიერებს წყურვილს ძიებისას და კვლევისას. მართლა-და რა მიზეზი უნდა იყოს, რომ მკვიდრთ-მრიცხველობა ჩვენში სქესობის მიხედვითა არამც თუ ემოწმება, ასე პირდაპირ ეწინააღმდეგება კიდეც მეცნიერებისაგან მიღებულ დასკვნასა? ნუ თუ საინტერესო არ არის ჯერ ამის ახსნა და გამოკვლევა და მერე იმის გამორკვევა თუ,—რას ჰნიშნავს და რას მოასწავებს ეს ასეთი განსაკუთრებული ამბავი?

# ახალი ამბავი

*** პირველ თებერვალს იქმნება საექიმო საზოგადოების სხდომა, რომელზედაც ამ სამის თთვის წინად არჩეულმა ექიმთა კომისიამ უნდა წაიკითხოს თავისი მოხსენება მილის წყალის თაობაზე. თუმცა ერთმა სარწმუნო კაცმა დაბეჯითებით გვიამბო, რომ წყალის გამყვან მილებში მარტო მტკვრის წყალია, მხოლოდ დაწმენდილი ავჭალაშიო, მაინც დიდად საყურადღებოა, რას იტყვის საექიმო საზოგადოება ამ მილის წყალის თვისებაზე.

*** 20 იანვრიდამ მოკიდებული ყოველ ოთხშაბათობით მკურნალი ქალი მ. ა. ისაკოვისა დაიწყებს კითხვას ფიზიოლოგიის ლექციებისას ტფილისის მასწავლებელ ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრთათვის. ლექციების კითხვა იქნება სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, საღამოს 7 საათიდამ.

*** დღეისთვის დანიშნული კრება სამეურნეო საზოგადოების წევრთა გადაიდო სხვა დროსთვის.

*** განზრახული ჰქონდათ გამართნათ კავკასიის მთავარ-მმართებლის სასახლეში სამხატვრო გამოფენა. ამბობენ, ეს გამოფენა დღე-დღე დაიწყებაო. გამოფენის აზრი და შესრულება ეკუთვნის ბ-ნ გაკკელს. გამოფენის შემოსავალი წავა სასარგებლოდ ტფილისის სამხატვრო სკოლისა. გამოფენაზე მოსიარულეთ გადაჰხდებათ პირველ ხანებში კაცზე თითო მანათი, შემდეგ-კი თითო აბაზი. შეგირდები მისცემენ მარტო ორ-ორ შაურსა.

*** იერუსალიმის ქუჩა წინად სუფთა ქუჩად ითვლებოდა და ეხლაკი, რაც კოლოლთაღის მეიდანზე წყალის კრანი დადგეს, მუდამ ატალახებულია. კრანიდამ წყალი იღვრება და ამ ქუჩაზე მიდის. რამდენსამე ნაბიჯზე ქალაქის არხია გაყვანილი. ქვა-ფენილის შესწორების დროს შეიძლება ქვა ისე დაიფინოს, რომ წყალი და ტალახი პირდაპირ არხში ჩავიდეს და იერუსალიმის ქუჩა უწინდებურად გასუფთავდება.

*** დაბახანის დიდი არხი ვარანცოვის ქუჩის ქვეშ არის გატანილი. დუქნების და აბანოების სიბინძურე და ცხელი წყალი შიგ ჩადის. წოვიანოვის აბანოების პირდაპირ თადი ახდილია და ჰაერის მომწამლავი ბუღი და ორთქლი ამოდის ვარანცოვის დიდ ქუჩაზე.

სხვა ქუჩების არხებს აქვს დასახური და მარტო წვიმის დროს ახდიან ხოლმე. შეიძლება ასეთივე დასახური დაბახანის თადსაც გაუკეთდეს.

*** გაზ. «Новости» გვაცნობებს, რომ 9 იანვარს პეტერბურგში ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელ საზოგადოებას დიდი ბაასი ჰქონდა იმის შესახებ, რომ შავის ზღვის ნაპირებზედ დაასახლონ რუსის ყაზახები. სხვა-და-სხვა სამეცნიერო საზოგადოებათა დელეგატებმა ერთ-ხმად წარმოსთქვეს თავიანთი აზრი, რომ აუცილებლად საჭიროა ყაზახების ჩასახლება შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებშიო. გამოჩენილმა მოგზაურმა ელისეევმა მხურვალედ ილაპარაკა ამის საჭიროებაზედ,—სთქვა, რომ ყაზახობა დიდს სამსახურს გაუწევს რუსეთს შავის ზღვის პირებზე, მეტადრე ომიანობის დროსაო. ხსენებულმა საზოგადოებამ ერთ-ხმად დაადგინა სთხოვოს მთავრობას, რომ ყაზახებს მიეცეთ ნება შავ ზღვის ნაპირებზე დასახლებისაო.

*** როგორც გაზ. «Нов. Обозрѣніе»-ში ვკითხულობთ, მილის წყალი ვერა მუშაობდა რიგიანად იმიტომ-რომ კრანებთან მილები ტყვიისა ჰქონდა, ტყვია ვერ უდგნობდა ძალასა და ფუჭდებოდაო. ქალაქის გამგეობამ მაშინათვე შეუკვეთა რკინის მილები, რომელიც ეხლა უკვე მოსულია და კიდევაც შეუდგომია ტყვიის მილების გამოცვლას. ამით, უეჭველია, მილის წყალს აღარ ექნება დამაბრკოლებელი მიზეზი და იმუშავებს შეუფერხებლივაო.

# დედაკაცი

არტურ შოპენჰაუერის აზრით*)

საკმარისია ერთი შეჰხედოთ დედაკაცს, რომ დარწმუნდეთ, რა უძლურია სულიერად და სხორციელად. დედაკაცი არ არის გაჩენილი მძიმე ტვირთისათვის. არავითარი საქმე არ ჰკიდებს დედაკაცს და უყელაფერს დიდის ტანჯვით აკეთებს: გაითა ჰშობავს შვილს, გაითვე ჰზრდის და კაზხავე იმისი დამოკიდებულება ქმარზედა, რადგანაც ქმრის მორჩილი და გამამხნევებელი მეუღლე უნდა იყოს. დედაკაცი არ არის მოწოდებული უდიდესის ტანჯვისა და სიხარულისათვის, თავისის ძალისა და ღონის უაღრესის გამომეტყველებისათვის. იმისი სიცოცხლე უნდა მიმდინარეობდეს უფრო წყნარად, შეუმჩნევლად, მშვიდობიანად, ვიდრე მამაკაცისა.

**

დედაკაცს იმიტომ უფრო ეხერხება ბავშვების აღზრდა, რომ თვითონა ჰგავს ბავშვსა: ბავშვსავით სულელია. მთელი თავისი დღენი დედაკაცი მხოლოდ დიდი ბავშვია, რადგან საშუალო არსებაა ბავშვსა და მამაკაცს შორის. აბა ერთი უყურეთ, რა რიგ ეკურკურება, ეალერსება, უმღერს და ეთამაშება მთელი დღე დედაკაცი ბავშვს და აბა ახლა ჩააყენეთ იმის ადგილს მამაკაცი; იფიქრეთ, მოახერხებდა რასმე ამ გვარსა მამაკაცი, ზევრიც რომ სდომებოდა?

**

დედაკაცის გაჩენაში ბუნებას სახეში ჰქონია ერთი რამ, რასაც დრამაში ეძახიან ეფექტსა. ბუნება მოჰხარბებით მიჰმადლებს ხოლმე დედაკაცს რამდენსამე წელს სილამაზეს, შნოსა და მოხდენილობას, რათა ამ ხნის განმავლობაში ისე მოინადიროს კაცის გული და ონება, რომ მან, გატაცებულმა, მოხიბლულმა ქალის სილამაზით, სამუდამოდ იდვას კისრად ზრუნვა იმის ბედსა და უბედობაზედ. თუ არა ეს მახე, საეჭვოა, რომ კაცი შეებას ამისთანა მძიმე უღელს, და საღი და დამჯდარი გონება არც იძლევა ამის საბუთს. ამიტომაც ბუნებას მიუცია დედაკაცისათვის, როგორადაც ყველა მდედრობითის სქესის არსებისათვის, ისეთი იარაღი, რომელიც აძლევს ადგილს ცხოვრების სუფრაზედ, აძლევს იმ დრომდე, ვიდრე საჭიროა იგი მისთვის; ბუნება აქაც თავისებურად დაზოგვით მოქცეულა. როგორც დედაჭიანჭველა დასდებს თუ არა კვერცხებს, ჰკარგავს ფრთებს, რადგან საჭირო აღარ არის და კვერცხების მოვლასა და გაფრთხილებაში დაუშლის კიდეცა, ისე დედაკაცი ორ-სამ მშობიარობის შემდეგ, უმეტეს ნაწილად, ჰკარგავს სილამაზეს, უეჭველად იმავე მიზეზის გამო.

**

ამიტომაც ახალგაზდა ქალები უყურადღებას არ აქცევენ საოჯახო საქმეებს და თავის მოწოდებად სთვლიან სიყვარულს, გამარჯვებას სიყვარულში და ყოველსავე იმას, რაც, ასე თუ ისე, შეეხება ამასვე: ფერს, უმარილს, ცეკვას, და სხვანი.

**

რაც უფრო ძვირფასია და სრული რომელიმე არსება თუ სულდგმული, მით უფრო გვიან და ნელ-ნელა მოდის ჰასაკში. მამაკაცი ჭკუითა და გონებით იშვიათად მოდის ჰასაკში ოც-და-რვა წელზე ადრე; ქალი-კი თვრამეტის წლისა მზად არის. გონებაც თავისი შესაფერი აქვს ამ დროს დედაკაცს—იმისი გონება ერთობ სუსტია. ამიტომაც დედაკაცნი მთელს თავის სიცოცხლეში ბავშვებად რჩებიან, ჰხედვენ მხოლოდ იმას, რაც ცხვირ-წინ უძევთ, საგნის გარეგანი შეხედულობა თვით საგნად მიაჩნიათ და ვერ განურჩევიათ ერთმანერთისაგან წვრილმანი და უმნიშვნელო საქმე დიდისა და მნიშვნელობით საგნისაგან.

კაცი, ადამიანი გონიერი არსება არის; ამიტომ შორეტყველობით მხოლოდ დღევანდელს დღეს არ შესცქერის, წარსულიც და მომავალიც უნდა თვალ-წინ ედგას. აქედამ იბადება სიფრთხილე და ზრუნვა. რაც სიფრთხილისა და ზრუნვისაგან სარგებლობა და ზარალია, იმაში დიდი წილი არ უძევს დედაკაცსა, იმიტომ-რომ სუსტის გონების პატრონია. იმისი განსაკუთრებული თვისება არის სულიერი ბეცობა: ქალის გონება მახლობლად სჭვრის და ჰხედავს ახლოზე. მოედანი ამ მხედველობისა ძალიან ვიწროდ არის შემოფარგლული. ამიტომ ყოველსავე განშორებულს, წარსულს, მომავალს, არა აქვს დედაკაცზე ისეთი გავლენა, როგორც მამაკაცზედ და აქვე უნდა ვეძიოთ სათავე იმ სენისა, რომელსაც ჰქვიან გაუფრთხილებლობა, ფლანგვა და რომელიც ასე ხშირია დედაკაცებში. დედაკაცები, თითქმის, დარწმუნებულები ბძანდებიან, რომ მამაკაცის დანიშნულება შოვნაა ფულებისა, ხოლო მათი დანიშნულება-კი— ფლანგვა; თუ შესაძლოა ქმრის სიცოცხლეშივე, თუ არა-და ქვრივობაში ხომ წინ ვინ დაუდგებათ, გაფლანგონ თავიანთი დოვლათი და საცხოვრებელი. ამ აზრზედ დედაკაცები უფრო იმიტომ არიან დამყარებულნი, რომ მამაკაცი თავის წვითა და დაგვით მოპოვებულს ფულებს იმათ აძლევს სახარჯავად და თვითონ არ ერევა საოჯახო საქმეებში. რა ზარალიც უნდა მოსდევდეს ამ გარემოებას, მაინც ერთი კარგი-კი სჭირს. ეს კარგი ის არის, რომ დედაკაცი ჩვენზედ

*) არტურ შოპენჰაუერი იყო გამოჩენილი ფილოსოფოსი გერმანიისა. ცხოვრობდა ამ სამოცის წლის წინად. იმისი სწავლა-მოძღვრება წუხსა სდებს და თითქმის უარ-ჰყოფს დღევანდელს წესებს და ცხოვრებას. ამიტომ ამ ფილოსოფოსს პესსიმისტს ეძახიან, ვითომ კაცთა ცხოვრების დამწუნებელს.

---

— რა გატირებს, ჩემო კარგო!.. უთხრა გზა-და-გზა გიორგისაკენ მიმავალმა დედამ მტირალს კესოს: განა სატირლადაც გაჰხდა საქმე!..

ხმა არავინ გასცა რიდისა და კრძალვისაგან. ზარი დიდი იყო!..

ოთარაანთ ქვრივი მივიდა შვილის ლოგინთან და რა დაჰხედა ცოცხალმკვდარს შვილს, ერთი საშინელი შემოიკრა თავში ხელი და იქავ მუხლი მოეჭრა და ჩაიჩოქა.

ხმა-გაკმენდილს ოთახში ენა ვეღარავინ დასძრა, ასოც ვეღარავინ შეატოკა.

მარტო ერთად-ერთის სანთლის ალი ჰთრთოდა ლოგინის თავში, სხვა ყველა სულიერნი თითქო გაქვავდნენ, თითქო მარილის სვეტებად გადიქცნენო.

დადუმდა, შეჰდგა ყველა და მარტო დედა-შვილობის საცოდავობა-ღა თავის დიდებულის ზარით ჰლაღადებდა უთქმელად, უტყვად, ხმა-ამოუღებლად!..

ამას მარტო თვალი გულისა-ღა თუ ჰხედავდა და ყური გულისა-ღა თუ ისმენდა!.. ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისათვის ულონოა.

## XVIII

უკანასკნელი განდობა

— მღვდელი, ღვთის გულისათვის, მღვდელი!.. დაიკვნესა პატარა ხანს უკან დედამ, რა ცოტა გულს მოეშვა და დაბნეული გონება მოიკრიბა.

მოიყვანეს მღვდელი და შვილი უზიარეს...

მინამ ეს მოხდებოდა, ოთარაანთ ქვრივი თითქო ღონეზედ მოვიდა. ჯერ ხომ გულმა გასტეხა, მერე თვითონ მოერია გულსა, თვითონ გაიტეხინა გული. როგორც ტყვია ნაკრავი ვაჟკაცი, ისე გაუძალიანდა, გაუკერპდა, გაუჯიქდა ტკივილსა და წვა-დაგვას.

ოთარაანთ ქვრივმა ერთს მუხლზედ წამოიჩოქა, გადააწვდინა ხელი, გადაჰხადა საბანი და გულზე ხელი მოუსვა ხმა-ჩაკმენდილს და თვალებდახუჭვილს შვილსა.

დედის გულთა-მხილავმა გულმა პირველშივე შეიტყო, რომ აქ საშველი აღარა არის-რა და შვილს სიკვდილი ხელიდამ აცლის. აღარაფერი იკითხა, აღარაფერი იძია... იმედ-გადაწყვეტილი მარტო იმას-ღა ეშურებოდა, ისე არ მომიკვდეს, რომ ხმა არ გამცესო, არა მითხრას-რაო.

— შვილო, გიორგი! აბა ერთი მომხედე შენს დედას!.. რა დაგემართა!.. ვაჟკაცი რამ გძლია ისე, რომ დედისათვისაც თვალს არ ახელ!..

შვილმა იგრძნო დედის ხელი თავის გულზედ, თუ ხმამ დედისამ გამოაბრუნა,—ეს-კი იყო, რომ თვალი გაახილა და ულონოდ მოატარა გარშემო. მალე ისევ მიელულა თვალი, ისევ დაეხუჭა და ტუჩებს-ღა დაუწყო ტოკვა.

— თქმა უნდა და ილაჯი აღარა აქვს... დაიკვნესა დედამ.

ამის თქმაზედ ორი სხვილი ცრემლი ჩამოუგორდა თვალთაგან და გაფითრებულ ლოყებზედ ნავალი დააჩნია, თითქო მდუღარე ტყვია იყო და საცა გაიარა, ამოსწვაო.

სახე-კი... არ უტიროდა, არა!..

გაკერპებულმა დედამ სახეს არ ამოაბეჭდვინა მწვავე ტკივილი გულისა. ძალის-ძალად გაყინული ცრემლი-კი დაადნო ცეცხლ-მოკიდებულმა გულმა და ძალის-ძალადვე შეუპოვრად შეკრულს სახეს ერთი ძარღვიც ვერ შეუშალა. იმედ-გადაწყვეტილობის სუსხმა ისევ გაჰყინა ეს დამდნარი დედაკაცი...

— წყა... წამოიხრიალა გიორგიმ და ვერ დაათავა სიტყვა.

— წყალი, წყალი! დაიძახა რამდენმამე ხმამ ერთად.

დემეტრემ ურჩია, ღვინო მიაწოდეთ, ცოტად მოაღონიერებსო.

— შვილო, დედის ერთავ, მამის ობოლო! ერთი ხმა გამე, ერთი კიდევ მომხედე!.. შეჰკვნესა დედამ და ტუჩებთან მიუტანა პატარა თასით ღვინო.

გიორგიმ ორიოდე წვეთი ჩაჰყლაპა და თითქო მოსულიერდა, თვალი ხელ-ახლად აახილა, წყნარად მიატარმოატარა და უეცრად გაუშტერდა.

დედამ შვილის თვალის სისწვრივად გაჰხედა და დაინახა მტირალი კესო...

— დედი! ჰხედავ... ამ... ანგელოზს... ძლივ-ძლივობით გამოსთქვა გიორგიმ, ისევ კესოზედ თვალგაჩერებულმა.

— ვხედავ, შვილო!..

— დედი!.. ღვინო...

დედამ კიდევ დაალევინა ღვინო.

— ეგ იყო ჩემი ბედის-წერა... არა ვნანობ, არა!.. კვლავ მიუბრუნდა გიორგი გაწყვეტილს სიტყვას.

არჩილმა გაოცებით შეჰხედა კესოს. კესოსაც ელდა ეცა, გაფითრდა, გაშრა, გაშტერდა. დედას-კი თითქო არ ეუცხოვა ეს ამბავი.

არც არჩილმა, არც კესომ, არავინ, არავინ არ გაჰბედა ამისთანა ზარიანს დროს ხმა ამოეღო. ყველა სმენად გადიქცა.

— აი ნეტავი ერთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა!.. ინატრა გიორგიმ და იმისმა თვალმა, კესოზედ მიქცეულმა, უფრო სთქვა ხვეწნა და ვედრება, ვიდრე ენამ და ხმამ.

კესო ტირილით მივარდა და თვალცრემლიანმა შუბლზედ აკოცა გიორგის... თავი რომ აიღო, ცრემლი მოსწყდა და მომაკვდავს გულზედ დაეცა. ამ პატარა უეცარმა ცრემლმა ერთ-ხანად შესძრა გიორგი და შეაქრქოლა. ეს ცრემლი თითქო უკვდავების წყაროდ ებკურა: იამა, გაუხარდა, ჰმოსულიერდა, თით-

მეტად სცოცხლობს დღევანდელის დღით და თუ ის დღევანდელი დღე დიდის წყვდიადით არ არის მოცული, ჩვენზედ მომეტებულად შეიტკბობს ხოლმე; აქედამ წარმოსდგება ის ჩვეულებრივი მხიარულება დედაკაცისა, რომელიც ართობს და გაჭირებაში ანუგეშებს ტვირთ-მძიმე მამაკაცსა.

## უცხოეთი

ოსმალეთი. ინგლისსა და ოსმალეთს მოლაპარაკება აქვთ და უნდათ შეასრულონ კვიპროსის ხელ-შეკრულობა. ამ ხელ-შეკრულობის ძალით ინგლისმა იტვირთა, რომ მე დავიცავ, რაც მამულები აქვს ოსმალეთს აზიაშიო.

— რუმელიის აღმოსავლეთ საზღვარზე ოსმალეთს 60,000 კაცამდე ჯარი ჰყავს ამ ჟამად დაბანაკებული.

— ინგლისის გაზეთებსა სწერენ სტამბოლიდამ, რომ ხონთქარმა უბრძანა სამხედრო მინისტრს, გაამაგრე ადრიანოპოლიო. ამბობენ, ამ ბრძანების მიზეზი ის არის, რომ ოსმალეთის მთავრობას შიში აქვს, არა მოხდეს-რა და მიწა-წყალი არა ჩამოგვერთვას-რაო.

ინგლისი. «St.-James Gazette»-ი ამბობს: ბევრსა ჰგონიათ, რომ ინგლისის მთავრობა თანაუგრძნობს სამთა კავშირსა და ვითომ ასე თუ ისე იტვირთა კიდეც შეძწეობა აღმოუჩინოს, თუ კინიცობაა საჭირო აღმოჩნდა იმისი დახმარება.

— ლიუსის კუნძულზე გლეხ-კაცობას დიდი უწესოება მოუხდენია და ჯერ-ჯერობით დღესაც არ დამშვიდებულა. გლეხნი თხოულობენ, რომ მიწა მხვნელ-მთესველთა საკუთრება უნდა იყოსო. მთავრობას ჯარი გაუგზავნია ლუისელების დასამშვიდებლად.

— გაზ. «Irich Times»-ი ამბობს, რომ ერთმა კათოლიკელმა მილიონების პატრონმა, ბოკლეიმ, რომელიც ჩამომავლობით ირლანდიელია, აცნობა პარნელს, რომ მე მსურს შენ დაგნიშნო ჩემის ქონების მემკვიდრედაო და შენ გიანდერძო ყოველივე ჩემი შეძლება იმ ღვაწლის სამაგიეროდ, რომელიც დასდე ჩემს სამშობლო ქვეყანასაო. პარნელმა უარი შეუთვალა ბოკლეის. მდიდარმა ირლანდიელმა წერილით სთხოვა პარნელს: თუ თქვენ უარს ამბობთ, ისეთი კაცი მაინც დამისახელეთ თქვენის დასისა, რომელიც ღირსი იყოს, რომ ჩემი ქონება იმას გარდავცეო.

გერმანია. ჰანოვერის სასამართლომ სამის კვირით ციხე გადაუწყვიტა ჰანოვერში საერო განათლების მინისტრად ნამყოფს ბარონ გოდენბერგს, რადგან ამ ბარონმა უმართებულოდ მოიხსენია თურმე გერმანიის სახელმწიფო დაწესებულებანი. ერთს კრებაზე გოდენბერგს უთქვამს საყოველთაოდ, რომ ის კანონი, რომელიც სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ არის გამოცემული გერმანიაში, სულ-მდაბლობაა და უღირსი საქმეა ძლიერისა და დიდის სახელმწიფოსათვისაო.

— პრუსიის ორივ პალატის პრეზიდენტებისათვის უთქვამს იმპერატორს ვილჰელმს: მართალია, დიდს ხარჯს მოითხოვს ლანდშტურმისა და ლანდვერის კანონის აღსრულება, მაგრამ, სამწუხაროდ, უთუოდ საჭიროა ეს ხარჯი გავწიოთ. სასიამოვნოა, რომ პრუსიის ფინანსები საუკეთესო მდგომარეობაშია. ამ გარემოების წყალობით მოვახერხეთ და გავიყვანეთ იმდენი რკინის გზებიო.

— გერმანელებს ძალიან უხარიანთ, რომ მემკვიდრე პრინცი უკეთესობას ატყობს თავსა. მალე უკანასკნელად შეიკრიბებიან მკურნალნი სან-რემოში და გადასწყვეტენ, ფიქრი ხომ აღარაფრისაა მემკვიდრე პრინცის ჯან-მრთელობის შესახებაო.

— აი რა ადრესი მიუწერიათ მაღდებურგელებს მემკვიდრე პრინცისათვის: «ერი პატივსა გცემთ და უყვარხართ, თქვენო უმაღლესობავ, არა მარტო იმიტომ-რომ თქვენ სახელ-განთქმული და ქველი მხედარი ბრძანდებით, არამედ იმიტომაც, რომ კეთილშობილისა და გულ-წრფელის კაცის სახელი გაქვთ გავარდნილი. დიდ ჭკუასთან ჩვილი და მოსიყვარულე გულიცა გაქვთ, მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი ბრძანდებით. დიდად პატივსა გცემთ ყველა კეთილის ხასიათებისათვის და ვხარობთ, რომ ყველა რიგიანი და კეთილშობილი კაცი სცდილობს თქვენ მოგბაძოთ თქვენს კეთილს ხასიათებში».

«Vossische Zeitung»-ი ამბობს, რომ სოციალისტების წინააღმდეგ კანონს ჯერ-ჯერობით არ წაიკითხავენ რეიხსტაგში და დაუცდიან თ. ბისმარკსაო, რომელსაც თვით უნდა დაიცვას ეს კანონი პარლამენტის წინაშეო.

## წვრილი ამბები

— საფრანგეთის აკადემიის წიგნთსაცავში წყლის გამყვანი მილი გასხეთქილა და წყლით ავსებულა მთელი წიგნთსაცავი. 2,500 წიგნი, იშვიათად და ძნელად საშოვნი, სულ ერთიანად გაუოხრებია წყალსა.

— ყველაზედ მეტი ორდენები პრუსიაში, რასაკვირველია, იმპერატორის ვილჰელმის შემდეგ, აქვს ჯერ-მემკვიდრე პრინცსა—74 ორდენი. მემკვიდრე პრინცს მოსდევს ჰიუკლერი, რომელსაც 51 ორდენი აქვს, შემდეგ თ. ბისმარკი—49 ორდენი, ფელდმარშალი მოლტკე—44, იმპერატორის სამხედრო კაბინეთის უფროსს, გენერალ ალბედილს—43, გენერალ-ადიუდანტს გრაფ ლენდორფს—40, პრინცს ვილჰელმს—36, პრინცს ჰენრიხს—27, გრაფ გერბერტ ბისმარკს, რომელსაც მიებოძა ხარისხი à la suite მაიორისა—26, პრინცს ფრიდრიხ ლეოპოლდს—14 და, დასასრულ, გრაფ ვილჰელმ ბისმარკს—13 ორდენი.

— ლიმში ხოლერა მძვინვარებდა თურმე და ეხლა და ეხლა-კი ცოტა იკლო ამ ჭირმა. ვალპარაისოში, მაგალითებრ, დღეში 100 კაცამდე ხდება ავად. 15 ნოემბრიდგან წარსულის წლისა 1 იანვრამდე ლიმში 1,288 კაცი გამხდარა ხოლერით ავად და ამათში 644 სული დახოცილა.

— პრინცესა კლოტილდას პაპისათვის იუბილეის დღეს მისართმევად მოუქსოვნია მშვენიერი ანაფორა, ხოლო ამას პრინცესასას, მეფე ჰუმბერტს, აღუკრძალავს დისათვის საჩუქრის გაგზავნა პაპთან.

— ოსმალეთის სულთანის კარისკაცთა შორის მსახურებენ ხუთნი ქონდრის კაცნიც. ამ პაწია ადამიანებს ყოველთვის მისვლა-მოსვლა აქვთ საჭურისებთან და სულთანის წინაშე-კი მასხარათა თანამდებობას ასრულებენ. მაგალითებრ, ამას წინად ერთი ქონდრის კაცი ჩაუდვიათ ფლავით სავსე ქვაბში და მიურთმევიათ სულთანისათვის. როცა სულთანის სტუმარნი შესდგომიან გემრიელ ფლავის ჭამას, უეცრივ ქვაბიდგან ამომხტარა პაწია კაცი, რომელსაც ოფლი და ერბო წურწურით ჩამოსდიოდა თურმე ზედა, და საზოგადოება ისე ძალიან შეუშინებია, რომ სტუმრები მაშინვე გაქცეულან.

— ბევრ გვარად იკლავს ადამიანი თავსა. ერთი შემთხვევა იყო, რომ ცხრა წლის ბიჭმა მოიკლა თავი, ჩემმა მშობლებმა ცოლის შერთვაზედ უარი რად მითხრესო; ერთხელ კიდევ ერთის ხარაზის ქარგალმა მოიკლა თავი, რადგან გადასწყვიტა, რომ სიცოცხლე გროშად არ-ღირებული საქონელიაო; დასასრულ, ერთხელ ისიც მოხდა, რომ ოთხმოც-და-სამის წლის მოხუცებულმა დედაკაცმა «უბედურის სიყვარულის გამო» მოიკლა თავი. ხოლო ძნელად თუ ვისმე ახსოვდეს, რომ ადამიანს იმიტომ მოეკლას თავი... კბილი რად მეძვრისო. აი სწორედ ამისთანა ამბავი მომხდარა ამას წინად ლონდონში. ორმოც-და-თხუთმეტის წლის გაუთხოვარს ქალს, ელისაბედ მარგესონს, წელიწადში 100,000 მან. შემოსავლის პატრონს, თავი მოუწამლავს... როცა ანდერძის წერილი წაუკითხავთ, შიგა წერებულა: «მთელი ჩემი ქონება და შეძლება სამადლო საზოგადოებათათვის მიანდერძნიაო. ამ დღეებში ნაცნობებისას ვიყავი და ნუშის გულით კბილი დავიმძრი. მეორე დღეს ექიმთან მიველი და ექიმმა გამომიცხადა, რომ დამძრული კბილი უნდა ამოიგლიჯოვო». ღმერთმა დამიფაროს კბილის ამოგლეჯისაგან! მადლობა ღმერთს, ვიპოვნე ისეთი საშუალება, რომლის წყალობით თავის დამახინჯება და უკბილოდ ყოფნა აღარ დამჭირდება. ეს საშუალება თავის მოკვლააო».

— ინგლისში იშვიათი ამბავი არ არის, რომ ან მშობლებს გაეყიდნოთ შვილები და ან კიდევ ქმრებს თავიანთი ცოლები. ხოლო აი ერთი მაგალითი, რომ ცოლებიც თავის თავს ნებას აძლევენ თურმე ქმრის გაყიდვისას. ამას წინად ერთს შეძლებულ ხელოსანს ავსტრალიაში გადასახლება გადაუწყვეტია. გემზე ერთი ქალი გასცნობებია და საშინლად შეჰყვარებია ქალსა ეს ხელოსანი. რაკი შეუტყვია, რომ ხელოსანს ცოლი ჰყავსო, ქალს, კაცის თანხმობით, მიუმართავს ავსტრალიიდგან ინგლისში ამ კაცის ცოლისათვის და შეჰვაჭრებია, რომ შენი ქმარი მომყიდეო. ცოლს 1,000 მან. მოუთხოვნია და ბოლოს 200 მანათზედ მორიგებულან.

## დეპეშა

16 იანვარი

პეტერბურგი. დღეს მოვიდა აქ ახალი ელჩი იტალიისა მარაკეტტი.

ვენა. ვენგრიის სეიმის დეპუტატთა პალატაში ტისსამ სთქვა გელფის პასუხად: «არავის არავითარი საფუძველი არა აქვს ეჭვი აილოს და სთქვას იმ დიდ სახელმწიფოებზე, რომელთაც ხელ-შეკრულობა დაუწერიათ ერთმანერთში მშვიდობიანობის დასაცველად და თავიანთ უვნებელობისათვის, რომ ისინი ვითომ ერთმანერთში კეთილ-სინიდისიერად არ იქცევიან. რა-კი რუსეთმა ჯარები გააძლიერა და გადმოიყვანა ჩვენის მონარქიის საზღვრებისაკენ, ჩვენ მოვალენი ვართ ყოველ შემთხვევისათვის ვიზრუნოთ, რომ ყოველივე რაც საჭიროა მზად იყოს ჩვენის საზღვრების დასაცველად და რომ ჯარიც საომარ ფეხზედ იყოს დაყენებული. მაგრამ ყოველივე ეს ისე უნდა მოვახერხოთ, რომ არავითარი ეჭვი არ შევიტანოთ, ვითომ რუსეთი გულწრფელად არ ამბობს, მშვიდობიანობა მსურსო, და ყოველის გზით უნდა ვერიდოთ, ვითომ ჩვენ ომში ვითხოვთ რუსეთსა». შემდეგ ტისსამ სთქვა, რომ ევროპის შუა სახელმწიფოთა კავშირი იყო მუდამ და დღესაც არის მხოლოდ მშვიდობიანობის დასაცველად შემდგარი კავშირი, მხოლოდ მტერთაგან საგერი და არა სატევი. იმედიაო—სთქვა ბოლოს ტისსამ,—რომ მშვიდობის მოყვარე მონარქნი და მთავრობანი ეცდებიან ააცილონ თავიდამ ევროპას მძიმე გრძნობა ხვალინდელის უიმედობისა.

17 იანვარი

ბრიუსსელი. «Nord»-ი ამბობს: «თუ ავსტრიის მწერლობა ლაპარაკობს, რუსეთმა საქმით დაგვიმტკიცოს, რომ მშვიდობიანობა უნდაო, ამის პასუხად აი რა უნდა ვსთქვათ: რუ-

---

ქო მიმავალი სიცოცხლე უკანვე დაუბრუნდაო.

ამისთანა დროს სიხარული, ბედნიერება იგივ სიცოცხლეა, მხოლოდ ხან-მოკლე და შეურჩენელი.

— ჰხედავ, დედი!.. ცოცხალი მაგის ღიმს ვერ ველირსე, ვკვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თან წასატან ლხენად... არა ენანობ, არა!.. მივდივარ და თან მიმაქვს ამის ცრემლით განედლებული სიხარული. იქ ვახეირებ, იქ... ნუ იწუხებ, დედი!.. შენგან გამიგონია, რასაც არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევინოსო!.. არჩილ, ნუ მიწყენ, ნუ!.. ნურც შენ, ნურც შენ!.. განა არ ვიცოდი,—მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს... გული გწვდებოდა, გული, ხელი-კი ველარ... ხატსავით გლოცულობდი, მზესავით დამნათოდი... არც-კი იცოდი,—ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!.. მინამ ცოცხალი ვიყავ, ვერ გაგიტყდი, მცხვენოდა... მერიდებოდა... მეშინოდა... ვკვდები და გეუბნები... მკვდარს რაღა მომეკითხება? მკვდარი ყველა თანაბარია!..

თავი ულონოდ მოსწყდა ბალიშზედ, თვალი ისევ მიელულა, სულმა ბრძოლა დაუწყო და მარტო ხელსღა აფათურებდა უძლურად, თითქო ვიღასაც ეძებს და იმისი პოვნა უნდაო.

პატარა ხანი კიდევ და გიორგი აღარ იყო.

— გაჰთავდა!.. დაიკივლა დედამ და ზედ გადაეშვა მკვდარს შვილსა. პირ-ქვე დაემხო შვილის გულზედ. აღარც ხმა, აღარც კრინტი!.. კაცს ეგონებოდა, დედამ შვილის გულზედ სული დაჰლიაო.

ცოტას ხანს მოუცადეს, ვითომ გულზედ მოეშოსო, მაგრამ რაკი ჰნახეს, რომ ეს დედაკაცი არც ხმას იღებს, არც იძვრის, ფიქრი მიეცათ,—ხომ არა აუტყდა-რაო.

კესო მივიდა და ჰლამოდა აყენებას. ოთარაანთ ქვრივმა მაშინ-ღა მოსცა ხმა.

— თქვენი ჭირიმე, მარტო მამყოფეთ ჩემ მკვდარ შვილთან. მე არა მიშავს-რა. იმისთანა ვარსკვლავზედა ვარ გაჩენილი... მე ბედშავი!.. ვაი, რომ არა მიშავს-რა!..

არჩილმა ყველას აქ მოგროვილს მოახლე-მოსამსახურეებს ჩუმად ხელით ანიშნა ოთახიდამ გასვლა. ყველანი გაიკრიბნენ. არჩილი და კესოც ფეხ-აკრებით გავიდნენ, მხოლოდ მოახლეს უბძანეს მეორე ოთახიდამ ყური ეგდო ოთარაანთ ქვრივისათვის.

დაცარიელდა ოთახი...

ეხლა-კი წაიშინა თავში ხელი ოთარაანთ, ქვრივმა რაკი მარტო იგულა თავი.

— ჩემი გიორგი აღარ არის, არა!.. ჰღმუოდა ხმა-დაბლა დედა: მე დავრჩი, მე, და გიორგი-კი აღარ არის!.. შვილო, წამიხველ? მომიკვდი? წამიხველ, წამიხველ და აღარ მომიხვალ!.. შვილო, შენი დასამარხავი ვიყავ და მე გმარხავ შენა, მე!.. შენი დასატირებელი ვიყავ და მე დაგტირი!.. ამ ხელებმა გაგზარდა და ამ ხელებმავე უნდა მიწა მოგაყაროს!?. მაგ ხელებს უნდა დაეკრიბნა ჩემთვის გულზე ხელი და ეხლა მე უნდა დაგიკრიბო, მე!.. ვაი დედას, ამის დამსწრეს!..

პირ-ქვე დაეცა ხელ-ახლად შვილის გაცივებულს გულს და ტირილოკი არა, მარტო ქვითქვითით გოდება-ღა ისმოდა.

— ვუი, ვუი, ვუი!.. გაისმა ოთახში ბღავილსავით ვიღასიც ტირილის ხმა.

ოთარაანთ ქვრივმა იუცხოვა და თვალი წყრომით მოატარა ოთახში.

ერთად-ერთი სანთელი ბევრს არას ანათებდა ფართო ოთახში და ნამეტნავად ერთს კუთხეში ჰბნელოდა. აქ მობუზული კაცი დაინახა ოთარაანთ ქვრივმა.

თავის უნებური კაცი ჰნახა თუ არა, გულ-ჩვილი დედა უცბად ისევ მჭახე ოთარაანთ ქვრივად გადაიქცა.

— შენ ვიღას მეტიჩარა ხარ? შეჰყვირა ოთარაანთ ქვრივმა გაჯავრებით.

— შენს საცოდაობას ველარ გავუძელ, ტირილი ყელთ მომებჯინა და არც მე მინდოდა, ტირილი წამსკდა და ძროხასავით ბღავილს მოვყევ ეს ოხერ-ტიალი...

— მერე აქ რას უგდიხარ?

— მარტოდ შემეცოდე. ვსთქვი, უცხო სახლია, ესეც ადამიანია, წყალს მაინც მივაწვდი-მეთქი.

— ვინა ხარ?

— სოსია.

— ვინ სოსია?

— თუ გაგონდები, კარგია, თუ არა-და, მაინც ღმერთმა გილხინოს, თუ შვილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგრჩენია ამ წუთი-სოფელში.

— რატომ არ დამრჩენია? სიკვდილის მოლოდინი ლხენა თუ არა გგონია!..

ბებერი მეწისქვილე, როცა ყველანი გავიდნენ, სხვებს არ გაჰყოლოდა და აქ ბნელს კუთხეში ქურდულად მიმალულიყო, წინანდებულად მიბუზული.

— წადი, აქ შენ ადგილი არა გაქვს,—უთხრა ოთარაანთ ქვრივმა: მარტო მინდა ვიყო...

— შენი ნებაა, წაველ და კარებს უკან ძაღლსავით მივეგდები. თუ რამ დაგჭირდეს, დამიძახე.

— კარგი, მამშორდი!

ილია ჭავჭავაძე

(შემდეგი იქნება)

სეთს არაფერი უქმნია-რა აქამდე ისეთი, რომ იმას მშვიდობიანობის დარღვევა მოჰყოლოდეს». იმაზე, რომ ვითომ ბოლგარიისა და ბოსნია და ჰერცოგოვინის საქმეს კავშირი აქვსო, «Nord»-ი გვამცნევს: «რუსეთს არავითარი განზრახვა არა აქვს, საუბარი ჩამოაგდოს, რომ ვითომ ავსტრიას უსაბუთოდეჭიროს ბოსნია-ჰერცოგოვინა; თუმცა დაფარული არავისთვის არის, რომ ავსტრია, რომელსაც მხოლოდ ის უფლება აქვს, რომ დროებით ეჭიროს და გამგეობა იქონიოს ამ ადგილებში, ჰფიქრობს სამუდამოდ შეიერთოს ზემოხსენებული ბოსნია და ჰერცოგოვინა. იმისთანა კაცებიც არიან, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ამ ქვეყნების საზღვრების გარედაც ხელს იწვდენს და ეტანებაო. ვიდრე გრაფი კალნოკი საქვეყნოდ არ დაგვარწმუნებს, რომ ავსტრიას ამ ნაირი განზრახვა არა აქვს, იმ დრომდე უნდა გვჯეროდეს, რომ ავსტრიის სურვილი რუსეთის სურვილს ეწინააღმდეგება». პრინც კობურგის წასვლაზედ აღმოსავლეთ რუმელიაში გაზეთი «Nord»-ი ამტკიცებს, რომ განგებ გამოწვეული სიხარული ერისა ვერ დაიხსნის პრინსცა ტახტიდამ გადაყენებისაგან.

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა წესნი, დადგენილნი სანათად სახმარებელ ნავთის საზღვარ-გარედ გატანისათვის.

გაზეთი „Свѣтъ"-ი იუწყება, რომ ნაბოკოვი მართლა მოკლულიაო. იმის გარდა მოკლულია კიდევ ჩერნოგორიელი მღვდელი კანიჩინი და 13 სხვა ჩერნოგორიელი.

სოფია. ფილიპპოპოლიდამ მოდის ამბები, რომ მთავრობა იდუმალ კრებას იწვევს და უნდა გამოაცხადოს დამოუკიდებლობა ბოლგარიისაო.

სტოკჰოლმი. დღეს, შუადღის შემდეგ, დაინიშნნენ პრინცი ოსკარი და ასული მუნხ-ფონ-ტულკილასი ჰენრიეტა.

18 იანვარი

პეტერბურგი. «Правит. Вѣст.»-ი ამბობს, რომ ლექციების კითხვა პეტერბურგის უნივერსიტეტში 21 იანვარს დაიწყებაო.

კიევი. გუშინ დილით სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის მინგაევოს სადგურზედ, ოდესიდგან 28 ვერსტის მანძილზედ, საქონლის მატარებელი შეეჯახა ფოსტისას, რომელიც კიევიდამ მოდიოდა. ძალიან დაზიანდა ორთქლით-მავალნი, ორი საქონლისა და ორიც ხალხის ვაგონები მე-3 კლასისა; ორი კაცი მოკვდა და 11 დაშავდა, ამათში 4 მძიმედ არის დაშავებული; კონდუქტორთაგან ერთი მოკვდა და ორიც დაშავდა.

ბელგრადი. გამოცხადებულ იქნა კანონი 20 მილიონის დინარის სესხის გამოცემაზე.

პეტერბურგის ბირჟა 15 იანვარი.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულნი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო . | — | ,, | — | ,, | 9 | 22 |
| ტამოჟნის კუპონები . | — | ,, | — | ,, | 184½ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . . . | — | ,, | — | ,, | 1 | 31 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — | ,, | — | ,, | 262 | |
| — მეორისა. . . . . | — | ,, | — | ,, | 246 | |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე 14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე 4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ИАНВАРИ 31 დღით არის

19 დღე სამშაბათი. ღირსისა მაკარისა, არსენასი და ანტონ მარტყოფელისა. კათოლ. წმ. ეპისკ. ალმსაარ. ჰენრიხისა. სომეხ. მეფე თეოდოსისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—14, ჩადის 5—14. მთვარე 19 დღისაა.

20 დღე ოთხშაბათი. ღირსისა ექვთიმე დიდისა. კათოლ. წმ. ფაბიანესი და წმ. მოწ. სევანტიანისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—13, ჩადის 5—15. მთვარე 20 დღისაა.

21 დღე ხუთშაბათი. მაქსიმე აღმსარებლისა და ნეოფიტესი. კათ. წმ. ქალწ.-მოწ. აგნესი. სომეხ. წმ. ვაჰანისა და კირაკოსისა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—12, ჩადის 5—16. მთვარე 21 დღისაა.

22 დღე პარასკევი. მოციქ. ტიმოთესი და ღირსისა ანასტასიასი. კათოლ. წმ. ვიკენტისა და წმ. მოწ. ანასტასიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7—11, ჩადის 5—17. მთვარე 22 დღისაა.

23 დღე შაბათი. წმ. მოწ. კლიმენტისა და ღირს. გენადისა. კათოლ. დანიშნვა ყოვლად წმ. ქალწულის მარიამისა. სომეხ. წმ. ათანასესი და კირილესი. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—10, ჩადის 5—19. მთვარე 23 დღისაა.

24 დღე კვირა. ღირსისა დედისა ქსენიასი და მაკედონიასი. კათოლ. წმ. მოწ. ტიმოთესი. სომეხ. წმ. ვაჰანისა. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—9, ჩადის 5—20. მთვარე 24 დღისაა.

25 დღე ორშაბათი. წმ. გრიგოლ ღვთის-მეტყველისა. კათოლ. მოქცევა წმ. მოციქ. პავლესი. სომეხ. ქალწ.-მოწ. ევგენიასი. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 5—21. მთვარე 25 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა
### შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101



## განცხადებანი

10 იანვარს ტფილისის საბრანიაში სატანცაო საღამოზედ დაიკარგა შუა ნაწილი სამაჯურისა (ბრასლეტისა), ოქროში ჩამჯდარის წითელის ფერის ქ[ვ]ით (ალმანტინი). ქვაზედ გამოსახულია ასო A. ვარდებისაგან. თვით ქვას გარშემო უს ხედსბრლიანტები. ვსთხოვთ, ვინც იპოვა, ან ტფილისის საბრანიის კანტორაში მიიტანოს, ან მელიქბეგლაროვის სახლში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ორბელიანთ ქუჩაზე, სახლის № 3. (3—3)

КОФЕ ФАБРИКИ С. СІУ и К°. ЛЮБИТЕЛЕЙ (50—7)

კავკასიის პირველი ფაბრიკა ხეზე-წასასმელ ლაქისა, საბეჭდავ ლუქისა და პოლიტურისა.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ბბ-ნს ვაჭრებს და მხმარებლებს ლაქისას, ლუქისას და პოლიტურისას, რომ ჩვენს ფაბრიკას აქვს ყოველ გვარის ღირსებისა და სიკეთის საქონელი, რომელიც არც ერთის სხვა ამ გვარ ფაბრიკის საქონელს არ ჩამორჩება. ფასი ზომიერია. ფაბრიკა მუშტარს დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს. თუ მუშტარს შორს სადმე ვგზავნება საქონელი, ფაბრიკა დიდის სიფრთხილით შეახვევს ნასყიდ საქონელს გასაგზავნად თვით მეფაბრიკეს ხელ-მძღვანელობით.

დაწვრილებით ჩვენის საქონლის შესახები ცნობანი მოხსენებულია პრეისკურანტში, რომელიც უსასყიდლოდ ურიგდება და ეგზავნება მსურველთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებელის მუშტრის სურვილს ფაბრიკა დაუყოვნებლივ და დიდის გულ-მოდგინებითასრულებს.

ადრესი ტფილისის გარეშე მცხოვრებელთათვის:

ТИФЛИСЪ.

Первая Кавказская лаковая, сургучная и политурная фабрика.

*Елизаветинская ул., домъ Читахова, № 25.* (20—9)

## ნერსესიანის სკოლის

თვრამეტს მაღაზიას, თალ-გადატანილის მარნებით, ცალ-ცალკე თვალს,

## ვაქირავებ

თებერვლის პირველიდამ ქ. ტფილისში, იარმუკაზედ. მსურველი ამავე შენობაში მნახავს ფასების გასაგებად.

(3—1)

არენდატორი ალ. თუთაევი



## მიმოსვლა რკინის გზისა
### ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ი | ლ | ი | თ | დ | ი | ლ | ი თ |
| ტფილისი. | — | — | 8 | 49 | ბათუმი. . . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი. . . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი. . . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . . . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . . | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური. . . . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . . . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . . . . . | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა. . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . . . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი. . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი. . . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა. . . . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . . . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . . . | 6 | 14 | 6 | 16 | | | | | |
| | საღამოთი | | | | | საღამოთი | | | |
| | | | | | სურამი. . . . . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . . . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური. . . . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი, | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . . . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი. . . . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . . | 8 | 5 | 8 | 7 | გორი . . . . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი. . . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . . . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა. . . . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები. . . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . . . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . . . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

### ტფილისსა და სურამ შუა

| | დილით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი. . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი. . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპია . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი. . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთ . . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . . | 9 „ 50» | 5 „ . . . . . . | 5 „ 25» |
| 10 „ . . . . . | 8 „ 75» | 4 „ . . . . . . | 4 „ 75» |
| 9 „ . . . . . | 8 „ —» | 3 „ . . . . . . | 3 „ 50» |
| 8 „ . . . . . | 7 „ 25» | 2 „ . . . . . . | 2 „ 75» |
| 7 „ . . . . . | 6 „ 50» | 1 „ . . . . . . | 1 „ 50» |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეთ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты «ИВЕРІЯ».*

თუ ტფილისში დაკვეთილ გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.


Доз. цен. Тиф. 18, января 1888 г. Типографія А. А. Михельсона, на Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე